PHR
პარტნიორობა
ადამიანის
უფლებებისთვის

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის
თბილისი 0193, ალექსიძის 1, კორპ. #5, ბ.17
ტელ: +995 (032) 233 13 56
ელ. ფოსტა: info@phr.ge

Partnership for Human Rights
Tbilisi 0193, Aleksidze 1, Block #5, Apt. 17
Contact: +995 (032) 233 13 56
Email: info@phr.ge

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

ხელმძღვანელი: ანა აბაშიძე
დაარსდა 2012 წლის ივლისში

ორგანიზაციის მისია:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ქალთა, ბავშვთა და ხანდაზმულთა, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა და მონიტორინგი

Partnership For Human Rights

Ana Abashidze - head
Founded in July 2012

Mission of the organization is the protection of the human rights of persons with disabilities, women, children, elderly persons and of other vulnerable group.

№ 8-01/195-17 25/01 2017 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსს, მარინა
დარახველიძეს

6

8610
27 01 17

ქალბატონო მარინა,

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37 - ე, 38 - ე და მე-40 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ, „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე.

1. 2016 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მწვავე შემთხვევების სტაციონარული მომსახურების მონიტორინგის ამსახველი ყველა დოკუმენტაცია (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ მწვავე შემთხვევების სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელი ყველა დაწესებულების შემთხვევაში ჩაშლილად);
2. 2016 წელს რამდენ შემთხვევაში დაფიქსირდა დარღვევა სტაციონარული ფსიქიატრიული დაწესებულებების მხრიდან მწვავე შემთხვევების მართვის დროს, რაში გამოიხატა დარღვევები, აქედან რამდენ შემთხვევაში მოხდა დარღვევისათვის დაწესებულების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ სტაციონარული ფსიქიატრიული დაწესებულებების მითითებით ჩაშლილად);
3. 2016 წელს მწვავე შემთხვევების სტაციონარული მომსახურების შემთხვევაში რამდენი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პაციენტის მიმართ დადგინდა დარღვევა, რაც გამოიხატა მწვავე ფსიქოზის დროს პაციენტის სტაციონარიდან ადრეული გაწერით და აღნიშულ ფაქტებს რა სამართლებრივი შეფასება და რეაგირებები მოჰყვა სამინისტროს მხრიდან;

4. 2016 წელს რამდენმა ადამიანმა ისარგებლა მწვავე შემთხვევების სტაციონარული მომსახურებით და აქედან რამდენ შემთხვევაში მოხდა მათი რეჰოსპიტალიზაცია ერთი თვის განმავლობაში (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ბავშვებისა და მოზრდილების შემთხვევაში ინდივიდუალურად);
5. 2016 წელს რამდენი თანხა გაიხარჯა მწვავე შემთხვევების სტაციონარული მომსახურებისათვის ბავშვებისა და მოზრდილების შემთხვევაში (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ბავშვებისა და მოზრდილების შემთხვევაში ინდივიდუალურად);
6. 2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხიდან- 11,479.1 ლარი-რამდენია გამოყოფილი მწვავე შემთხვევების სტაციონარული მომსახურებისათვის (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ბავშვებისა და მოზრდილების შემთხვევაში ჩაშლილად);
7. 2016 წლის მდგომარეობით რამდენი მწვავე შემთხვევების სტაციონარულ მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება იყო რეგისტრირებული და 2016 წელს რამდენი საწოლი იყო გამოყოფილი მწვავე შემთხვევების სტაციონარული მომსახურების მიწოდების მიზნით (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ დაწესებულებებისა და საწოლების რაოდენობის მითითებით ჩაშლილად).

პატივისცემით,

ანა აბაშიძე

ორგანიზაციის ხელმძღვანელი